ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

მოქ. ხათუნა ფილიას წარმომადგენლის
ნანა მურადაშვილის
მცხ: თბილისი, ვაზისუბანი, IV მკრ, II კვრტ,
X-ე კორპ, ბინა №54; ტელ: 593-33-41-97
უფლებამოსილების დამადასტურებელი
მტკიცებულება განცხადებას თან ერთვის

განცხადება

მოგახსენებთ რომ უძრავი ქონება მდებარე: თბილისი, ყუშიტაშვილის ქუჩა №84 (ყოფილი ლვოვის ქუჩა) - ბინა №17, საკადასტრო კოდი №01.10.12.031.026.01.01.017 საკუთრების უფლებით ირიცხება ჩემი მარწმუნებლის სახელზე, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან განცხადებას თან ერთვის.

ხათუნა ფილიამ ზემოთ მითითებული საცხოვრებელი სახლი შეიძინა 2015 წლის 25 თებერვალს, შეძენის მომენტში სამზარეულოში ამოჭრილი იყო ფანჯრები, სწორედ, აღნიშნული მდგომარეობით იქნა ბინა ამ უკანასკნელის მხრიდან მოწონებული და შეძენილი, იმ შემთხვევაში თუ სამზარეულოს ფანჯრები არ ექნებოდა, ჩემი მარწმუნებელი უძრავ ნივთს არ შეიძენდა, ვერც კი წარმომიდგენია სამზარეულო იქნება ეს თუ საძინებელი ოთახი, არსებობდეს ფანჯრების გარეშე.

ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მშენებლობას აწარმოებს შპს **"Corso"** საიდენტიფიკაციო კოდი №406087336, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან განცხადებას თან ერთვის.

შპს **"Corso"**-ს დირექტორი – თემურ ვაშაკიძე (საიდენტიფიკაციო კოდი №406087336) ჩემს მარწმუნებელს, სასარჩელო წარმოების წესით სასამართლოში უჩივის, სამზარეულოში არსებული ფანჯრების გამო, ითხოვს აღნიშნულის

ამოშენებას. განცხადებას თან ვურთავთ სარჩელს, რაც აღძრულია სასამართლოში თემურ ვაშაკიძის მიერ. ჯერ სასამართლოში დავა არ დამთავრებულა, ასეთ დროს კი, თემურ ვაშაკიძეს შეცდომაში შეყავს არქიტექტორი, უთითებს რომ თითქოს და ფანჯრები ამოქოლილია და ასეთ ვითარებაში ადგენინებს ნახაზს, რაც ასევე არქიტექტორის პასუხისმგებლობაც არის რომ ნახაზს ადგენს თეორიულად, ისე რომ ადგილზე არაა ნამყოფი.

თემურ ვაშაკიძემ არქიტექტურის სამსახურს მიმართა განცხადებით 2018 წლის 30 მაისს განაცხადის რეგისტრაციის ნომერია №**AR1604872** დაურთო არასწორად შედგენილი ნახაზი, არასწორად შედგენილი პროექტი, რომლის მიხედვით დგინდება რომ თითქოს და ჩემი მარწმუნებლის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში, სამზარეულოში ფანჯრები ამოშენებულია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

გთხოვთ, ჩემს მიერ მითითებული გარემოებები გათვალისწინებული იქნეს გადაწყვეტილების მიღების დროს. ვაშაკიძე შეგნებულად მალავს ადგილზე არსებულ ვითარებას და შეცდომაში შეყავს არქიტექტურის სამსახური.

გთხოვთ, გადაწყვეტილების მიღების დროს გაარკვიოთ შემდეგი საკითხი: თემურ ვაშაკიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დანართ №4-ის შებამისად შპს **"Corso"-s** დირექტორი თემურ ვაშაკიძე როგორ აპირებს +13.200 ნიშნულზე უკანა ფასადზე არსებული ხარვეზების დაკორექტირებას? მითითებული საკითხის გარკვევისას იხელით შემოწმების აქტი 001313, დანართი 4 ფურცელი, ვაშაკიძის მიერ წარმოდგენილი.

თემურ ვაშაკიძეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ყურადღების გადატანა უნდა მითითებულ ფანჯრებთან დაკავშირებით, რეალურად კი კორპუსს აქვს უამრავი გამოუსწორებელი ხარვეზი.

გთხოვთ, გადაწყვეტილება არ იქნეს მიღებული ადგილზე დათვალიერების გარეშე, გთხოვთ, ზემოთ მითითებულ მისამართზე გამოცხადნენ თქვენი სამსახურიდან შესაბამისი სპეციალისტები, დაათვალიერონ ადგილზე ვითარება, რათა დარწმუნდნენ იმ გარემოებაში რომ თემურ ვაშაკიძის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არ შეესაბამება სინამდვილეს.

გთხოვთ, ადგილზე გამოცხადების შემდგომ თქვენი სამსახურის შესაბამისმა სპეციალისტებმა გაგვცენ პასუხი შემდეგ კითხვებზე: იმ შემთხვევაში თუ ფანჯრები ამოშენებული იქნება, უძრავი ქონება საცხოვრებლად ვარგისიანი იქნება თუ არა? ფანჯრების ამოშენების შემთხვევაში სამზარეულო დაკარგავს თუ არა სამზარეულოდ გამოყენების დანიშნულებას? ოთახში დაიკარგება თუ არა მზის სინათლე? შესაძლებელია თუ არა ფანჯრების კორექტირება მოხდეს იმდაგვარად რომ კორპუსს ექსპლუატაციაში მისაღებად ხელი არ შეეშალოს?

დანართი: 1. რწმუნებულების ასლი;

2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

4. სარჩელის ასლი

განცხადების ავტორი:  /ნ.მურადაშვილი/

12.06.18წ.

საქართველო
სანოტარო აქტი

ქ.თბილისი, ორი ათას **თვრამეტი** წლის **თერთმეტი მაისი.** ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს გიორგი ჭიტაშვილთან სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, კანდელაკის ქ.№14, გამოცხადდა **ხათუნა ფილია** (დაბადებული 23.12.1977 წელს, მცხოვრები: ქ.თბილისი, ლვოვის ქუჩა №84, ბინა №17, პირადი №09001000382) მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ნანა მურადაშვილს** (დაბადებული 28.07.1973 წელს, პირადი № 01012031362), მისი საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. **მიმნდობის** პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ **მის** ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ასევე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობა, მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა და განვუმარტე მინდობილობის ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **მიმნდობმა თავადაც** წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, ხათუნა ფილია (რომლის რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში "მიმნდობი" **ორი ათას თვრამეტი წლის თერთმეტ მაისს** უფლებამოსილებას ვანიჭებ **ნანა მურადაშვილს** შემდგომში "მინდობილს", მასზედ, რომ მან აწარმოოს ჩემი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები საქართველოს ნებისმიერ სასამართლო, სახელმწიფო, არასახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოში, სააღსრულებო ბიუროში, კერძო არბიტრაჟში, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს. მათ შორის იმ უფლებითაც, რომ აღძრას სარჩელი (განცხადება), დაამთავროს საქმე მორიგებით, ხელი მოაწეროს მორიგების აქტს, სცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, შეცვალოს სარჩელის საგანი, მიიღოს და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად, მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო მოქმედებებში, გაასაჩივროს სასამართლო და სხვა გადაწყვეტილებები, აიღოს ნებისმიერი სახის საბუთი ყველა ორგანოდან, გადაიხადოს ბაჟები, საჭიროების შემთხვევაში დაიბრუნოს უკან გადახდილი ბაჟი, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია წინამდებარე დავალების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.
წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარ მნიშვნელოვან ეგზემპლარად, ერთი ინახება ნოტარიუს გ. ჭიტაშვილის სანოტარო ბიუროში, სამი გადაეცა მიმნდობს.
გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 10 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2 ლარი, სულ 12.00 ლარი.

მიმნდობი: ხათუნა ფილია

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23469149564418

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180531181

რეგისტრაციის თარიღი

11.05.2018 წ

ნოტარიუსი: გიორგი ჭიტაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, კანდელაკის ქუჩა N14

ტელეფონი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.10.12.031.026.01.01.017

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015104144 - 25/02/2015 16:20:52

მომზადების თარიღი
17/03/2015 14:03:27

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
01	10	12	031/026	01/01/017

თბილისი საბურთალო

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ყუშიტაშვილი , N 84

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:740.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 31;
შენობა-ნაგებობები: N1 (მშენებარე)
საერთო ფართობი 2449.2 კვ.მ მათ შორის:
საცხოვრებელი ფართობი 1364.4 კვ.მ
კომერციული ფართობი 96.9 კვ.მ
საბაფხულო ფართობი 511.8 კვ.მ
სარდაფის ფართობი 50.1 კვ.მ
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 139.6 კვ.მ
ავტოსადგომის ფართობი 286.4 კვ.მ

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015104144 , თარიღი 25/02/2015 16:20:52
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/03/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების გამიჯვნის, გაერთიანებისა და ნაყოფიერების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:25/02/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ხათუნა ფილია ;P/N: 09001000382

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
ხათუნა ფილია	საკუთრება	ფართი(მშენებარე) სართული5,ბინა N17,	175.64 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ვალდებულება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას. რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ–ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14049820, 08/05/2014 14:24:08

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს Corso
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	406087336
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	01/03/2013
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზ., N 35, ბ. 6
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	tvashakidze@yandex.ru

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01029006066, თემურ ვაშაკიძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01029006066, თემურ ვაშაკიძე	100.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://public.reestri.gov.ge. ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან.



სარჩელი
სამოქალაქო საქმეზე

ქ. თბილისის საქალაქო
სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
თავჯდომარეს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

მოსარჩელე:

შ.პ.ს "corso" | 406087336 | ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ 35 ბ #6
სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და ს მუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ვეფხვია გელაშვილი | 56001005425 | ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზირი№31
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | 593 215 705 მობილური | ფაქსი | iuristi7@gmail.com ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

ხათუნა ფილია | 09001000382 | ქ. თბილისი, ყუშიტაშვილის ქ. 84 ბინა #17
სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

ვეფხვია გელაშვილი
სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გაითვალისწინეთ! თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. აღნიშნული მონაცემების მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე და დაგიბრუნებთ სარჩელს, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

საზით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

საზელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

უკანონო ხელშემლის აღკვეთა
ქვემოთ მიუთითეთ თქვენს იურიდიულ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ 2013 წელს ჩემმა მარწმუნებელმა დააფუძნა კომპანია შ.პ.ს "CORSO" მრავალბინია საცხოვრებელი ბინის მშენებლობისათვის და ააშენა კიდეც საცხოვრებელი ბინა ქ. თბილიში ყუშიტაშვილის ქ. #84-ში. აღნიშნულ მისამართზე შ.პ.ს "corsos" მიერ აშენებულ საცხოვრებელ სახლში მოპასუხე ხათუნა ფილიამ შეიძინა უძრავი ქონება 2015 წლის 25 თებერვალს 175.64 კვ.მ რომელიც მდებარეობს შენობის მე-5 სართულზე ბინა #17, არქიტექტურულად პროექტის მიხედვით კი ბინა განთავსებულია +13,2 ნიშნულზე. საცხოვრებელი სახლი დღეის მდგომარეობითაც არის მშენებარე სტატუსით,იგი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული რიგი უმნიშვნელო დარღვევების გამო, მაგრამ რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და ხელისშემშლელი გარემოებაა, გახლავთ მოპასუხე ხათუნა ფილიას მიერ შენობის გარე ფასადის პროექტის თვითნებურად დარღვევა, რაც გამოიხატება შემდეგში: ხათუნა ფილიას დარღვეული აქვს პროექტი უხეშად, მას გარე ფასადზე გაჭრილი აქვს ორი უნებართვო ფანჯარა, რაც დასტურდება ლევან სამხარაულის სახელობის სქსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით, დასკვნაში მითითებულია, რომ ყუშიტაშვილის ქ#84-ში მდებარე შენობის ღერძი 1-6, ნიშნულზე +13,2-ზე ფაქტიური მდგომარეობით მოწყობილია 5 ერთეული ფანჯარა, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 3 ერთეული ფანჯარა, ასევე უთითებს, რომ პროექტი და არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა იხილეთ დასკანაზე თანდართულ ფოტოსილუეტებზე, სადაც აშკარად ჩანს, რომ ხათუნა ფილიას მიერ დარღვეულია პროექტის გარე ფასადი და მას უკანონოდ გაჭრილი აქვს ორი ფანჯარა. აღნიშნული დარღვევა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ არქიტექტურაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს ე.წ "სხივის" პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ შენობის იმ ადგილზე სადაც ხათუნა ფილიას აქვს გაჭრილი უკანონოდ ფანჯრები იგი არანაირ კორექტირებას არ ექვემდებარება და იგი ყველა ვარიანტში უნდა იქნას ამოშენებული. აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისათვის არაერთხელ მივმართეთ ხათუნა ფილიას, თუ სიტყვიერად და თუ წერილობით, მაგრამ მან დღემდე არ აღმოფხვრა მის მიერ თვითნებურად დარღვეული პროექტი. იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ვერ ხერხდება საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღება იმის

გამო, რომ დარღვეულია პროექტი, რაზედაც მოგვეცა მითითება ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 29,12,2017 წელს, ასევე იგივე უწყების მიერ ჩაგვიტარდა შემოწმება 2018 წლის 25 იანვარს გამოსწორდა, თუ არა დარღვეული პროექტი, ჩვენ იძულებულები გავხდით, რომ მივსულიყავით ხათუნა ფილიას საცხოვრებელ ბინაში და ამოგვეშენებია უკანონოდ გაჭრილი ფანჯრის ღიობები, რადგანაც ჯერჯერობით კორპუსი არის მშენებარე და პასუხისმგებლობას გვაკისრებენ ჩვენ პროექტის დარღვევისათვის. ჩემი მარწმუნებელი თემურ ვაშაკიძე ორ მუშასთან, გიორგი სიდიანთან და არსენ წითელაშვილთან ერთად მივიდნენ ხათუნა ფილიას საცხოვრებელ ბინასთან იმ მიზნით, რომ მათ ამოეშენებიათ უკანონოდ გაჭრილი ფანჯრის ღიობები, მაგრამ მათ ხათუნა ფილიამ კარი არ გაუღო და არ მისცა მათ საშუალება, რომ გამოესწორებიათ ხათუნა ფილიას მიერ თვითნებურად დარღვეული პროექტი, აღნიშნული დაპირისპირებისას ადგილზე გამოძახებული იქნა საპატრულო პოლიცია სადაც დაფიქსირდა ის ფაქტი, რომ ხათუნა ფილია ხელს უშლის შ.პ.ს " corsos" დარღვეული პროექტის გამოსწორებაში.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

შ.პ.ს"corso" დაფუძნდა 2013 წელს

მტკიცებულება:

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი

2. ფაქტობრივი გარემოება

2015 წლის 25თებერვალს შ.პ.ს "corsos"-საგან ხათუნა ფილიამ შეიძინა უძრავი ქონება მე-5 სართულზე ბინა #17 ფართი 175,64 კვ.მ რომლის სტატუსისც დღეის მდგომარეობითაც არის (მშენებარე), არქიტექტურულად ბინა #17 განთავსებულია +13,2 ნიშნულზე .

მტკიცებულება:

ნასყიდობის ხელშეკრულება და ამონაწერი საჯარო რესტრიდან

3. ფაქტობრივი გარემოება

ხათუნა ფილიას დარღვეული აქვს თვითნებურად პროექტი, მას შენობის გარე ფასადზე გარდა პროექტით გათვალისწინებული სამი ფანჯრისა დამატებით გაჭრილი აქვს კიდევ ორი ფანჯარა, რაც დასტურდება ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით.

მტკიცებულება:

ა) ექსპერტიზის დასკვნა

4. ფაქტობრივი გარემოება

შ.პ.ს "corsos" დირექტორმა თემურ ვაშაკიძემ წერილობით მიმართა ხათუნა ფილიას, რათა მას მოეხდინა უკანონოდ გაჭრილი ფანჯრების ამოშენება მაგრამ დღემდე არ ამოუშენებია. წერილი ჩაიბარა ხათუნა ფილიას მეუღლემ ლევან ესართიამ.

მტკიცებულება:

ა. შ.პ.ს"corsos" დირექტორის მიერ ხათუნა ფილიაზე მიწერილი წერილი და საფოსტო გზავნილის ჩაბარების დატური

5. ფაქტობრივი გარემოება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წლის 29 დეკემბერ მოგვეცა მითითება დარღვეული პროექტის გამოსწორებაზე, ხოლო იგივე სამსახურმა 2018 წლის 25 იანვარს გამოგვიწერა შემოწმების აქტი და თუ არ უზრუნველყოფთ პროექტის გამოსწორებას შემდგომში გამოგვიწერს საჯარიმო ქვითარს.

მტკიცებულება:

მითითებისა და შემოწმების აქტები.)

6. ფაქტობრივი გარემოება

ჩემი მარწმუნებელი შ.პ.ს "corsos" დირექტორი თემურ ვაშაკიძე ორ მუშასთან ერთად გამოცხადდა ხათუნა ფილიას ბინასთან რათა მოეხდინა უკანონო ფანჯრების ამოშენება, მაგრამ ხათუნა ფილიამ მათ ხელი შეუშალა და არ მისცა მათ სასუალება რათა გამოესწორებინა დარღვეული პროექტი, კერძოდ კი შენობის +13,2 ნიშნულზე ამოეშენებია უკანონოდ გაჭრილი ფანჯრები. თემურ ვაშაკიძის მიერ ხელშეშლის აღკვეთის მიზნით გამოძახებული იქნა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომლებმაც დააფიქსირეს, რომ ხათუნა ფილია მათ ხელს უშლის რათა გამოესწორებია მოპასუხის მიერ დარღვეული პროექტი, ანუ უკანონოდ გაჭრილი ორი ფანჯარა ამოაშენონ.

მტკიცებულება:

2018 წლის 06 თებერვლის რეაგირების ოქმი.

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

რომელ სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება თქვენი დავა?

- [x] სანივთო სამართლებრივს
- [ ] ვალდებულებით სამართლებრივს
- [ ] ინტელექტუალურ საკუთრებას
- [ ] საოჯახო სამართლებრივს
- [ ] სამეწარმეო სამართლებრივს
- [ ] შრომის სამართლებრივს
- [ ] პირად არაქონებრივს

სხვა

რატომ მიმართავთ სწორედ ამ სასამართლოს?

აღნიშნული სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის არეალში მდებარეობს:

- [x] მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი
- [ ] მოპასუხის ადგილსამყოფელი
- [ ] მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი
- [ ] ხელშეკრულების შესრულების ადგილი
- [ ] ადგილი, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო
- [ ] იურიდიული პირის ფილიალი
- [ ] მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილი
- [ ] მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვ. ადგილი საქართველოში
- [ ] სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი
- [ ] მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელი
- [ ] მოთხოვნის უზრუნველმყოფი ნივთი
- [ ] უძრავი ნივთი
- [ ] მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი
- [ ] მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი
- [ ] ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
- [ ] მშვილებლის საცხოვრებელი ადგილი
- [ ] გასაშვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილი

სხვა

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

მოპასუხე ხათუნა ფილიას აეკრძალოს უკანონო ხელშემლა შ.პ.ს "corso"-ზე , ანუ აეკრძალოს ხელის შეშლა მის მიერ უკანონოდ დარღვეული პროექტის, ორი ფანჯრის ამოშენების დროს. იმის გათვალისწინებით, რომ შენობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული შენობის მესაკუთრედ ჯერჯერობით ითვლება შ.პ.ს "corso" და სწორედ შ.პ.ს აძლევენ მითეთებებსა და გაფრთხილებებს, რათა გამოასწოროს პროექტის დარღვეული ნაწილი, რომელიც არის გარე ფასადზე.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

სსკ 172-ე მუხლი

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე — ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი — ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი — ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შუამდგომლო ები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?
დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა ☒

სარჩელის ფასი — 4000 ლარი

სახელმწიფო ბაჟი — 120 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
5. შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

ეცადეთ თუ არა სასამართლოსათვის მომართვამდე დავა თავად მოგეგვარებინათ?

დიახ ☒ რა ფორმით?

არა ☐

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☒ მორიგების პირობები:

არა ☐ რადგან

სასამართლო მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი სახის კონფლიქტის მოგვარებას მოლაპარაკების გზით, დავაში მონაწილე მხარეთათვის მისაღები პირობებით. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე გადაეცემა მედიატორს, რომელიც არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი პირი. მედიატორი დიალოგის წარმართვის გზით ეხმარება მხარეებს კონსენსუსის მიღწევაში.
სასამართლო მედიაციის პროცესი არ არის შეზღუდული ფორმალური პროცედურებით. მედიაცია მხარეებს აძლევს განსახილველი საკითხების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. მედიატორსა და მხარეებს უფლება არ აქვთ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას.
სასამართლო მედიაცია მხარეებს აძლევს რესურსების დაზოგვის შესაძლებლობას. მედიაციის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის კუთხით. კერძოდ, ნაცვლად 3%-სა, მხარეს ეკისრება დავის საგნის ღირებულების 1%-ის გადახდა. დავის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მხარეს უბრუნდება გადახდილი ბაჟის 70%.
მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება სასამართლოს მიერ შეიძლება დამტკიცდეს მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით და შესაბამისად იგი დაექვემდებარება აღსრულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე გადაეცეს სასამართლო მედიაციას?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?
დიახ ☒
არა ☐ რადგან

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე
დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

ხართ თუ არა დადგენილი წესით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ თუ არა საარსებო შემწეობას?
დიახ ☐ *გთხოვთ, დაურთოთ მტკიცებულება.*
არა ☒

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?
დიახ ☐
არა ☒ რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი
2. ნასყიდობის ხელშეკრულება
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
4. ექსპერის დასკვნა
5. წერილი ხათუნა ფილის
6. წერილის ჩაბარების დასტური ხათუნა ფილიას მეუღლეზე ლევან ესართიაზე
7. მითითების აქტი #003205
8. შემოწმების აქტი #003205
9. რეაგირების ოქმი
10. რწმუნებულება
11. სახ ბაჟის ქვითარი

ფურცლების საერთო რაოდენობა: 7X

სარჩელის ფორმალური გამართულობა

სარჩელის სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და ახდენს სარჩელის რეგისტრაციას. თუ სარჩელი არ შეესაბამება ქვემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს, სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე და დაგიბრუნებთ სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

		დიახ	არა
1.	სარჩელი წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით.	☒	☐
2.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	☒	☐
4.	მითითებულია მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი*, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	☒	☐
5.	მითითებულია ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა).	☒	☐
6.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
7.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
8.	მითითებულია სასარჩელო მოთხოვნა.	☒	☐
9.	სარჩელს თან ერთვის თანდართულ დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოდგენილია შუამდგომლობა დოკუმენტის წარმოდგენის გადავადების შესახებ), გვერდების რაოდენობის მითითებით.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	წარმოდგენილია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

** კარსკვლავით აღნიშნული მონაცემის მითითება სასურველია*

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია: ☐

სარჩელი ფორმალურად არაა გამართული: ☐

სასამართლოს კანცელარიის უარი სარჩელის რეგისტრაციაზე ხელს არ უშლის მოსარჩელეს განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აღმოიფხვრება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება

თუ სარჩელი შეაქვს იურიდიული პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) ან სარჩელი შეტანილია იურიდიული პირის წინააღმდეგ, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება ფოსტის, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დასტური სასამართლოში წარმოადგინოს 2 თვის ვადაში.

ზემოთაღნიშნულ პირებს სარჩელის მოსამართლისათვის გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონზე ან/და ელექტონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის გადაცემის თაობაზე.

ელექტორნული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

თუ მოსარჩელე 2 თვის ვადაში საქმის განმხილველ სასამართლოში არ წარადგენს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან შუამდგომლობას გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ, სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

ზემოაღნიშნული წესები შესაძლებელია გავრცელდეს ნებისმიერ სხვა პირზეც, მათი თანხმობით.
ასეთ შემთხვევაში სარჩელს სასამართლო განიხილავს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან საჯარო შეტყობინებით მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 1.5 თვისა, 2 თვის ნაცვლად, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე – არა უგვიანეს 3,5 თვისა, 5 თვის ნაცვლად.

მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების წესი

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან მოსარჩელისათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს პირადად.

» თუ გზავნილის ჩამბარებელმა მოპასუხე ვერ ნახა გზავნილში მითითებულ მისამართზე, იგი გზავნილს აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს.

» მოპასუხის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი გზავნილი უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს.

» გზავნილის მიმღები ვალდებულია გზავნილის ჩაბარებისას აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, ხოლო თუ გზავნილს იბარებს ოჯახის წევრი ან გზავნილი ჰბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით, მაშინ დამატებით უნდა მიეთითოს ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა, რაც დასტურდება გზავნილის მიმღების ხელმოწერით.

» ელექტორნული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

» თუ პირველად გაგზავნისას გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, გზავნილი მას უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან მოსარჩელისათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

» თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას გააკეთებს გზავნილზე, რომელიც სასამართლოს უნდა წარედგინოს. ასეთ შემთხვევაში გზავნილი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული წესების დარღვევით ჩაბარებული გზავნილი არ ჩაითვლება ჩაბარებულად.

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ. ამასთან, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს შუამდგომლობა გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები

თუ არ გამოცხადდით სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად.

თუ სხდომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც მოპასუხე მხარე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ვალდებული ხართ, გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.

ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მოსარჩელეს.

წარმოადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, შეგიძლიათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე; თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ვეფხვია გელაშვილი 02.03.2018წ.

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი და გვარი შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.